ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს
მუნიციპალიტეტის გამგებლის ირაკლი კუჭავას

განმარტებითი ბარათი

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომეციული) იურიდიული პირების საკუთრბაში (ბალანსზე რიცხული) არსებული და ასევე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა–ნაგებობების დემონტაჟი/ლიკვიდაცია შედეგად მიღებული ქონების მართვასთან დაკავშირებით ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ შეიმუშავა დადგენილების პროექტი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში (ბალნსზე რიცხული) არსებული ქონების განკარგვის, ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ბალანსიდან ჩამოწერისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალნსზე რიცხული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ან ლიკვიდაციის შედეგად მიღებული ან დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი ნაწილებისა და მასალების მუნიციპალიტეტის მიერ აღნიშნული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ან ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით გასხვისების ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვის წესების დამტკიცების შესახებ".

დადგენილების პროექტის მომზადება განპირობებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის ,,ე.ა" ქვეპუნქტითა და ,,საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების" მე–4 მუხლით გათვალისწინებული კომპეტენციით, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის გამგებელის წარდგინებით მიიღოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვასთან დაკავშირებული წესები.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვისა და ზედამხედველობის სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების განყოფილების წამყვანი სპეციალისტი ქონების მართვის საკითხებში ვალერი ყაჭეიშვილი.

მუნიციპალიტეტის გამგებელი: **ირაკლი კუჭავა**

პროექტი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში (ბალნსზე რიცხული) არსებული ქონების განკარგვის, ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ბალანსიდან ჩამოწერისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალნსზე რიცხული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ან ლიკვიდაციის შედეგად მიღებული ან დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი ნაწილებისა და მასალების მუნიციპალიტეტის მიერ აღნიშნული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ან ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით გასხვისების ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვის წესების დამტკიცების შესახებ“

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[1] მუხლის თანახმად

საკრებულო ადგენს:

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში (ბალნსზე რიცხული) არსებული ქონების განკარგვის, ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ბალანსიდან ჩამოწერისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალნსზე რიცხული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ან ლიკვიდაციის შედეგად მიღებული ან დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი ნაწილებისა და მასალების მუნიციპალიტეტის მიერ აღნიშნული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ან ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით გასხვისების ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვის წესების დამტკიცების შესახებ“- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.

2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში (ბალნსზე რიცხული) არსებული ქონების განკარგვის, ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ბალანსიდან ჩამოწერისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალნსზე რიცხული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ან ლიკვიდაციის შედეგად მიღებული ან დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი ნაწილებისა და მასალების მუნიციპალიტეტის მიერ აღნიშნული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ან ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით გასხვისების ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვის წესების დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[2] მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტი მოამზადა: *ვალერი ყაჭეიშვილმა*

პროექტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

დ. ჩოხატაური

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში (ბალნსზე რიცხული) არსებული ქონების განკარგვის, ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ბალანსიდან ჩამოწერისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალნსზე რიცხული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ან ლიკვიდაციის შედეგად მიღებული ან დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი ნაწილებისა და მასალების მუნიციპალიტეტის მიერ აღნიშნული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ან ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით გასხვისების ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვის წესების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ა“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტისა, ,,საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ მე–4 მუხლის, ,,ძირითადი საშუალებების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა, ფულადი საშუალებებისა და ანგარიშსწორებათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ - საქართველოს ფინანსთა მინისტრის 1995 წლის 1 აგვისტოს 12-03 ბრძანებით დამტკიცებული დებულებისა და ,,საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ – საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის 605 ბრძანების შესაბამისად საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ბალანსიდან ჩამოწერის წესი“ (დანართი 1).

მუხლი 2.

დამტკიცდეს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში (ბალანსზე რიცხული) არსებული ქონების განკარგვის, ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესი“ (დანართი 2).

მუხლი 3.

დამტკიცდეს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალნსზე რიცხული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ან ლიკვიდაციის შედეგად მიღებული ან დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი ნაწილებისა და მასალების

მუნიციპალიტეტის მიერ აღნიშნული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ან ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით გასხვისების ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვის წესი“ (დანართი 3).

მუხლი 4.

დამტკიცდეს ,,ჩამოსაწერი ძირითადი აქტივების (შენობა-ნაგებობებისა და გადასაცემ მოწყობილობათა) ნარჩენი ღირებულების დადგენის აქტი“–ს ფორმა (დანართი 4).

მუხლი 5.

დამტკიცდეს ,,ჩამოსაწერი ძირითადი აქტივების (მანქანა-დანადგარებისა და სხვ.) ნარჩენი ღირებულების დადგენის აქტი“–ს ფორმა (დანართი 5).

მუხლი 6.

დამტკიცდეს „ძირითადი აქტივის ლიკვიდაციის აქტი“–ს ფორმა (დანართი 6).

მუხლი 7.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 13 ივნისის #31 დადგენილება – ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების განკარგვის, გადაცემის, ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“.

მუხლი 8.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პროექტის ავტორი *ვალერი ყაჭეიშვილი*

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ბალანსიდან ქონების ჩამოწერის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი განსაზღვრავს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესს.

2. ეს წესი არ აწესრიგებს სამეურნეო მასალების, საკანცელარიო ნივთების, კვების პროდუქტების, მედიკამენტების და შესახვევი საშუალებების, სათბობი, საწვავი და საცხები მასალების, სათადარიგო ნაწილების, ფულადი დოკუმენტების ინვენტარიზაციისა და ჩამოწერის წესს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. ქონება – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ყველა ნივთი.

2. ჩამოსაწერი ქონება – ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონება.

3. შესაბამისი ორგანიზაცია (შემდგომში – ორგანიზაცია) – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

4. საინვენტარიზაციო კომისია (შემდგომში – კომისია) – ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის მიზნით შესაბამის ორგანიზაციაში შექმნილი კომისია.

მუხლი 3. ინვენტარიზაციის ჩატარება

1. ორგანიზაციაში ინვენტარიზაცია ტარდება „ძირითადი საშუალებების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა, ფულადი საშუალებებისა და ანგარიშსწორებათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 1996 წლის 1 აგვისტოს №12-03 ბრძანებით დამტკიცებული დებულების თანახმად.

2. ორგანიზაციაში ინვენტარიზაცია ტარდება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანების შესაბამისად.

მუხლი 4. საინვენტარიზაციო კომისია

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის მიზნით იქმნება საინვენტარიზაციო კომისია. კომისია იქმნება წელიწადში ერთხელ, საანგარიშო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს სამი თვის განმავლობაში, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში.

2. საინვენტარიზაციო კომისია იქმნება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. კომისიას შედგება არანაკლებ ხუთი წევრისაგან, მათ შორის: თავმჯდომარე, მოადგილე, ბუღალტერი (აღრიცხვა-ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი) და წევრ(ებ)ი, კომისიას ჰყავს მდივანი, რომელიც ადგენს კომისიის სხდომის ოქმს და პასუხისმგებელია მის სისწორეზე.

4. კომისიას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას თავმჯდომარის მოადგილე.

5. საჭიროების შემთხვევაში კომისიის წევრებად შეიძლება მოწვეულ იქნენ დარგის სპეციალისტები.

6. კომისიის მუშაობა ფორმდება ინვენტარიზაციის შედეგების აქტით.

7. კომისია საკითხს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე, რომელსაც ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას თავმჯდომარის მოადგილე. კომისიის სხდომის შესახებ დგება ოქმი, რომელშიც აღინიშნება კონკრეტული საკითხის განხილვისას კომისიის წევრების მიერ

გამოთქმული განსაკუთრებული მოსაზრებები და მიღებული გადაწყვეტილებები. კომისიის სხდომის ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი და კომისიის დამსწრე ყველა წევრი.

8. კომისია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი, თუ მის სხდომას ესწრება კომისიის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი მაინც. კომისიის მიერ საკითხი გადაწყვეტილად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს კომისიის დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი მაინც. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

მუხლი 5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერა

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერა ხდება ყოველი მიმდინარე წლის ბოლოს კომისიის მიერ წარდგენილი შესაბამისი დოკუმენტაციისა საფუძველზე. ჩამოწერა შეიძლება განხორციელდეს წლის სხვა პერიოდშიც.

2. კომისია სწავლობს ჩამოსაწერი ქონების ფაქტობრივ ფიზიკურ მდგომარეობას, სათანადო საფუძვლის არსებობას, ასაბუთებს მისი ჩამოწერის აუცილებლობას, ადგენს საინვენტარიზაციო კომისიის დასკვნას, ავსებს ამ დადგენილებით დამტკიცებული ჩამოსაწერი ძირითადი აქტივების ნარჩენი ღირებულების დადგენის აქტებს (№4 და №5 დანართები) და ძირითადი აქტივების ლიკვიდაციის აქტებს (№6 დანართი) (გარდა მე–6 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა), თითოეულ ძირითად აქტივზე ცალ-ცალკე. საჭიროების შემთხვევაში საინვენტარიზაციო კომისიამ შესაძლებელია გამოიყენოს დარგის სპეციალისტის დასკვნა (შესაბამისი აუდიტორული ან საექსპერტო) ჩამოსაწერი ქონების შეფასების შესახებ.

3. ორგანიზაცია უზრუნველყოფს ჩამოსაწერი ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულებისა და მათი ლიკვიდაციის შედეგად მიღებული სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულების დადგენის აქტების შემოწმებასა და დადასტურებას შესაბამისი ლიცენზიის მქონე აუდიტორის მიერ.

4. კომისია ჩამოწერის შესახებ დასკვნას ამ მუხლის მე–2 პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტაციასთან ერთად წარუდგენს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელს შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების ჩამოწერაზე გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის გამგებელი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.

6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების ჩამოწერაზე გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის გამგებელი.

7. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული მცირეფასიანი აქტივების ჩამოწერაზე გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის გამგებელი.

8. ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივების ჩამოწერის პროცედურის დასრულების შემდეგ და ამ დადგენილებით დამტკიცებული №6 დანართის საფუძველზე (გარდა მე-6 მუხლით გათვალისწინებული წესისა) ჩამოწერის შედეგად მიღებული ქონება (ჯართი, სამშენებლო მასალა, ვარგისი ნაწილები და სხვ.) აისახება ბალანსში მარაგების სახით ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული აქტებით დადგენილი ღირებულების შესაბამისად.

9. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის მიზნით წარდგენილი დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება კომისიას.

მუხლი 6. მცირეფასიანი აქტივების ჩამოწერის განსაკუთრებული წესი

ამ წესის მე–5 მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებული, ჩამოსაწერი ძირითადი აქტივების ნარჩენი ღირებულების დადგენის აქტების (№4 დანართი და/ან №5 დანართი) და/ან ძირითადი აქტივების ლიკვიდაციის აქტების (№6 დანართი) შევსების წესი არ ვრცელდება მცირეფასიანი აქტივების ჩამოწერის შემთხვევაზე.

მუხლი 7. ჩამოწერის შედეგად მიღებული ქონების (ჯართი, სამშენებლო მასალა, ვარგისი ნაწილები და სხვ.) განკარგვა

ჩამოწერის შედეგად მიღებული და მარაგების სახით ბალანსზე აღრიცხული ქონების (ჯართი, სამშენებლო მასალა, ვარგისი ნაწილები და სხვ.) განკარგვას ორგანიზაცია ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. ჩამოწერილი და გამოუსადეგარი ქონების განადგურება

1. ძირითადი აქტივების ჩამოწერის შედეგად მიღებული ქონება, რომლის რაიმე დანიშნულებით გამოყენება შეუძლებელია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილების საფუძველზე ექვემდებარება განადგურებას, რომელიც ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. ქონების განადგურების პროცესს ესწრება საინვენტარიზაციო კომისიის სრული შემადგენლობის სულ ცოტა ნახევარზე მეტი.
3. ქონების განადგურებას ტექნიკურად უზრუნველყოფს ორგანიზაცია.
4. ქონება უნდა განადგურდეს ამ მიზნით გამოყოფილ ადგილებში ან ნაგვის დასაწვავ ადგილებში.
5. ქონების განადგურების თაობაზე დგება აქტი, რომელსაც ხელს აწერენ ქონების განადგურების პროცესზე დამსწრე პირები.
6. ქონების განადგურებისათვის აუცილებელი ხარჯები ფინანსდება შესაბამისი ორგანიზაციის მიერ.
7. განადგურების მართლზომიერაბასა და შედეგებზე პასუხისმგებელია საინვენტარიზაციო კომისია.

დანართი 2

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების განკარგვის, ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი განსაზღვრავს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული ქონების განკარგვის, ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის პრინციპებს.
2. ეს წესი არ აწესრიგებს სამეურნეო მასალების, საკანცელარიო ნივთების, კვების პროდუქტების, მედიკამენტების და შესახვევი საშუალებების, სათბობი, საწვავი და საცხები მასალების, სათადარიგო ნაწილების, ფულადი დოკუმენტების ინვენტარიზაციისა და ჩამოწერის წესს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. ქონება – საქართველო სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი ნივთი.
2. ჩამოსაწერი ქონება – ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონება.
3. დაწესებულება – ჩოხატურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (შემდგომში – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
4. საინვენტარიზაციო კომისია (შემდგომში – კომისია) – ქონების ინვენტარიზაციის მიზნით დაწესებულებაში შექმნილი კომისია.

მუხლი 3. ქონების განკარგვისა და გადაცემის ფორმები

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში (ბალანსზე რიცხული) არსებული ქონების საკუთრებაში ან სარგებლობაში განკარგვა ხდება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებისათვის დადგენილი წესების შესაბამისად.
2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში (ბალანსზე რიცხული) არსებული ქონების საკუთრებაში ან სარგებლობაში განკარგვა დასაშვებია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანხმობით, რომელიც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში (ბალანსზე რიცხული) არსებული ქონების საკუთრებაში ან სარგებლობაში განკარგვის საკითხს თავის მხრივ ათანხმებს მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მუხლი 4. ინვენტარიზაციის ჩატარება

1. დაწესებულებაში ინვენტარიზაცია ტარდება „ძირითადი საშუალებების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა, ფულადი საშუალებებისა და ანგარიშსწორებათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 1996 წლის 1 აგვისტოს №12-03 ბრძანებით დამტკიცებული დებულების თანახმად.
2. დაწესებულებაში ინვენტარიზაცია ტარდება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანების შესაბამისად.

მუხლი 5. საინვენტარიზაციო კომისია

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის მიზნით იქმნება საინვენტარიზაციო კომისია.

2. კომისია იქმნება და მისი შემადგენლობა განისაზღვრება დაწესებულების ხელმძღვანელის შესაბამისი აქტით.

3. კომისია იქმნება წელიწადში ერთხელ, საანგარიშო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს სამი თვის განმავლობაში, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში.

4. კომისიის შემადგენლობას განსაზღვრავს შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელი.

5. კომისია შედგება არანაკლებ ხუთი წევრისაგან, მათ შორის: თავმჯდომარე, მოადგილე, ბუღალტერი (აღრიცხვა-ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი) და წევრ(ებ)ი, კომისიას ჰყავს მდივანი, რომელიც ადგენს კომისიის სხდომის ოქმს და პასუხისმგებელია მის სისწორეზე.

6. კომისიას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას – თავმჯდომარის მოადგილე.

7. საჭიროების შემთხვევაში კომისიის წევრებად შეიძლება მოწვეულ იქნენ დარგის სპეციალისტები.

8. კომისიის მუშაობა ფორმდება ინვენტარიზაციის შედეგების აქტით.

9. კომისია საკითხს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე, რომელსაც ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას – თავმჯდომარის მოადგილე. კომისიის სხდომის შესახებ დგება ოქმი, რომელშიც აღინიშნება კონკრეტული საკითხის განხილვისას კომისიის წევრების მიერ გამოთქმული განსაკუთრებული მოსაზრებები და მიღებული გადაწყვეტილებები. კომისიის სხდომის ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი და კომისიის დამსწრე ყველა წევრი.

11. კომისია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი, თუ მის სხდომას ესწრება კომისიის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი მაინც. კომისიის მიერ საკითხი გადაწყვეტილად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს კომისიის დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი მაინც. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

მუხლი 6. ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერა

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ამორტიზებული და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერა ხდება ყოველი მიმდინარე წლის ბოლოს საინვენტარიზაციო კომისიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე. გამონაკლის შემთხვევაში ჩამოწერა შეიძლება განხორციელდეს წლის სხვა პერიოდშიც.

2. კომისია სწავლობს ჩამოსაწერი ქონების ფაქტობრივ ფიზიკურ მდგომარეობას, სათანადო საფუძვლის არსებობას, ასაბუთებს მისი ჩამოწერის აუცილებლობას, ადგენს საინვენტარიზაციო კომისიის დასკვნას, ავსებს ამ დადგენილებით დამტკიცებული ჩამოსაწერი ძირითადი აქტივების ნარჩენი ღირებულების დადგენის აქტებს (№4 და №5 დანართები) და ძირითადი აქტივების ლიკვიდაციის აქტებს (№6 დანართი) (გარდა მე–7 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა), თითოეულ ძირითად აქტივზე ცალ-ცალკე. საჭიროების შემთხვევაში საინვენტარიზაციო კომისიამ შესაძლებელია გამოიყენოს დარგის სპეციალისტის დასკვნა (შესაბამისი აუდიტორული ან საექსპერტო) ჩამოსაწერი ქონების შეფასების შესახებ.

3. დაწესებულების ხელმძღვანელი უზრუნველყოფს ჩამოსაწერი ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულებისა და მათი ლიკვიდაციის შედეგად მიღებული სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულების დადგენის აქტების შემოწმებასა და დადასტურებას შესაბამისი ლიცენზიის მქონე აუდიტორის მიერ.

4. კომისია ჩამოწერის შესახებ დასკვნას ამ მუხლის მე–2 პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტაციასთან ერთად წარუდგენს დაწესებულების ხელმძღვანელს.

5. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ამორტიზებული და გამოუყენებელი ქონების (გარდა მცირეფასიანი აქტივებისა) ჩამოწერის მიზნით დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ საინვენტარიზაციო კომისიის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია, წარედგინება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელს.

6. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ჩამოწერაზე გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის გამგებელი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.

7. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ჩამოწერაზე გადაწყვეტილებას იღებს ორგანიზაციის ხელმძღვანელი, მუნიციპალიტეტის გამგებელის თანხმობით.

8. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული მცირეფასიანი აქტივების ჩამოწერაზე გადაწყვეტილებას იღებს ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

9. ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივების ჩამოწერის პროცედურის დასრულების შემდეგ და ამ დადგენილებით დამტკიცებული №7 დანართის საფუძველზე (გარდა მე-7 მუხლით გათვალისწინებული წესისა) ჩამოწერის შედეგად მიღებული ქონება (ჯართი, სამშენებლო მასალა, ვარგისი ნაწილები და სხვ.) აისახება ბალანსში მარაგების სახით ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული აქტებით დადგენილი ღირებულების შესაბამისად.

10. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის მიზნით საინვენტარიზაციო კომისიის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დაწესებულებას.

მუხლი 7. მცირეფასიანი აქტივების ჩამოწერის განსაკუთრებული წესი

ამ წესის მე–5 მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებული, ჩამოსაწერი ძირითადი აქტივების ნარჩენი ღირებულების დადგენის აქტების (№4 დანართი და/ან №5 დანართი) და/ან ძირითადი აქტივების ლიკვიდაციის აქტების (№6 დანართი) შევსების წესი არ ვრცელდება მცირეფასიანი აქტივების ჩამოწერის შემთხვევაზე.

მუხლი 8. ჩამოწერის შედეგად მიღებული ქონების (ჯართი, სამშენებლო მასალა, ვარგისი ნაწილები და სხვ.) განკარგვა

ჩამოწერის შედეგად მიღებული და მარაგების სახით ბალანსზე აღრიცხული ქონების (ჯართი, სამშენებლო მასალა, ვარგისი ნაწილები და სხვ.) განკარგვას დაწესებულება ახორციელებს წინამდებარე წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით.

2. რეალიზებიდან მიღებული თანხა ირიცხება დაწესებულების ანგარიშზე.

9. ჩამოწერილი და გამოუსადეგარი ქონების განადგურება

1. ჩამოწერის შედეგად მიღებული ქონება, რომლის რაიმე დანიშნულებით გამოყენება შეუძლებელია დაწესებულების ხელმძღვანელის გადაწყვეტილების საფუძველზე ექვემდებარება განადგურებას, რომელიც ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ქონების განადგურების პროცესს ესწრება საინვენტარიზაციო კომისიის სრული შემადგენლობის სულ ცოტა ნახევარზე მეტი.

3. ქონების განადგურებას ტექნიკურად უზრუნველყოფს დაწესებულება.

4. ქონება უნდა განადგურდეს ამ მიზნით გამოყოფილ ადგილებში ან ნაგვის დასაწვავ ადგილებში.

5. ქონების განადგურების თაობაზე დგება აქტი, რომელსაც ხელს აწერენ ქონების განადგურების პროცესზე დამსწრე პირები.

6. ქონების განადგურებისათვის აუცილებელი ხარჯები ფინანსდება შესაბამისი ორგანიზაციის მიერ.

7. განადგურების მართლზომიერებასა და შედეგებზე პასუხისმგებელია საინვენტარიზაციო კომისია.

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალნსზე რიცხული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ან ლიკვიდაციის შედეგად მიღებული ან დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი ნაწილებისა და მასალების მუნიციპალიტეტის მიერ აღნიშნული შენობა–ნაგებობების დემონტაჟის ან ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით გასხვისების ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვის წესი“

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ეს წესი განსაზღვრავს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალნსზე რიცხული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ან ლიკვიდაციის შედეგად მიღებული ან დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი ნაწილებისა და მასალების მუნიციპალიტეტის მიერ აღნიშნული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ან ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით გასხვისების ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვის წესსა და პირობებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) შეასაბამისი ორგანიზაცია (შემდგომ ორგანიზაცია) – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა;

დ) დემონტაჟი – არსებული შენობა-ნაგებობების ან მათი ნაწილების დანგრევა/დაშლა;

ე) ლიკვიდაცია – დემონტაჟის შედეგად დარჩენილი ტერიტორიის მასალებისა და ნარჩენებისგან გათავისუფლება;

ზ) საინვენტარიზაციო კომისია – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის — ——— —— #— დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ბალანსიდან ჩამოწერის წესის“ მე–4 მუხლით განსაზღვრული და ორგანიზაციში შექმნილი „საინვენტარიზაციო კომისია“.

მუხლი 4. შენობა-ნაგებობების დემონტაჟის/ლიკვიდაციის წესი

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი/ლიკვიდაცია ხორციელდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის — ——————— №— დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ბალანსიდან ჩამოწერის წესის“ მე–5 მუხლით გათვალისწინებული წესით.

2. შენობა-ნაგებობების დემონტაჟი/ლიკვიდაციაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, გადაწყვეტილებას იღებს ჩოხატაურის მუნციპალიტეტის გამგებელი.

2. შენობა-ნაგებობების დემონტაჟის/ლიკვიდაციის მართლზომიერებისა და შედეგებისათვის პასუხისმგებელია ორგანიზაცია.

მუხლი 5. შენობა-ნაგებობების დემონტაჟის/ლიკვიდაციის შედეგად მიღებული ან დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი ნაწილებისა და მასალების (მარაგების) განკარგვის წესი

1. შენობა-ნაგებობების დემონტაჟის/ლიკვიდაციის განხორციელების შედეგად დარჩენილი ან დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი ნაწილებისა და მასალების (მარაგების) განკარგვის თაობაზე გადაწყვეტილებას, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, იღებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

2. დემონტაჟის/ლიკვიდაციის განხორციელების შედეგად დარჩენილი ან დემონტაჟის განხორციელების შედეგად მისაღები ვარგისი ნაწილებისა და მასალების (მარაგების) გასხვისება ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვა ხორციელდება:

ა) აუქციონის წესით;

ბ) სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისას, თუ სამშენებლო სამუშაოების მიმწოდებელს ქონება გადაეცემა მის მიერ მიწოდებული სამუშაოების შესაბამისი ღირებულების სანაცვლოდ.

3. შენობა-ნაგებობების დემონტაჟის განხორციელების შედეგად მისაღები ვარგისი ნაწილებისა და მასალების (მარაგების) განკარგვა შეიძლება ასევე განხორციელდეს აუქციონის წესით, ამორტიზებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟისა და გამოუსადეგარი სამშენებლო ნარჩენების ტერიტორიიდან გატანის პირობით.

4. განკარგვად არ ჩაითვლება ის შემთხვევები, როდესაც გადაცემული ქონება გამოიყენება უწყების დაკვეთით მისაწოდებელ სამშენებლო სამუშაოებში.

5. სადემონტაჟო სამუშაოების შედეგად მისაღები ვარგისი ნაწილებისა და მასალების (მარაგების) ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად განკარგვისას, საწყისი საფასური დგინდება აუდიტორული (საექსპერტო) დასკვნის შესაბამისად, ან აუდიტორული (საექსპერტო) დასკვნის საფუძველზე განსაზღვრული სადემონტაჟო სამუშაოების ღირებულებასა და დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი ნაწილების ღირებულებას შორის სხვაობის გათვალისწინებით.

6. შენობა-ნაგებობების დემონტაჟის/ლიკვიდაციის განხორციელების შედეგად დარჩენილი ვარგისი ნაწილებისა და მასალების (მარაგების) აუქციონის წესით გასხვისების ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვის შედეგად ამონაგები თანხა მთლიანად ირიცხება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

ჩამოსაწერი ძირითადი აქტივების (შენობა-ნაგებობებისა და გადასაცემ მოწყობილობათა) ნარჩენი ღირებულების დადგენის აქტი

20 წლის ---------- მდგომარეობით

ორგანოს, დაწესებულების, სსიპ-ის, საბიუჯეტო ორგანიზაციის, წარმომადგენლობის/საკონსულოს დასახელება ----------

№	ძირითადი საშუალების დასახელება	ექსპლუატაციაში შესვლის წელი	ექსპლუატაციაში ყოფნის ვადა	ღირებულება გადაფასებამდე (ლარი)	ბუღალტრული ცვეთა გადაფასებამდე		ფიზიკური ცვეთა გადაფასებამდე		ნარჩენი საბალანსო ღირებულება გადაფასებამდე (ლარი, გრ.5–გრ.9)	გადაფასების კოეფიციენტი საქართველოს პრეზიდენტის 09.06.1997 წ. N295 ბრძანებულების საფუძველზე	ღირებულება გადაფასების შემდეგ (ლარი)	ცვეთა გადაფასების შემდეგ (ლარი)	საამორტიზაციო ანარიცხის ნორმა ძირითადი ფონდის სრულ აღდგენაზე	ფაქტობრივი ცვეთა				ნარჩენი საბალანსო ღირებულება	
					%	ლარი	%	ლარი						ბუღალტრული ცვეთის წლიური ნორმა%	საბოლოო ფაქტობრივი მდგომარეობით %	საბოლოო ბუღალტრული მდგომარეობით %	ბუღალტრული მონაცემებით ლარი	ლარი	ქონების ადგილსამყოფელი ქვეყნის ვალუტის გათვალის წინებით
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20

კომისიის წევრები: 1. ---------- ვამტკიცებ:

2. ---------- კომისიის თავმჯდომარე

3. ---------- ბ.ა.

4. ----------

შენიშვნა: თუ ძირითადი აქტივი შეძენილია, ან ნარჩენი საბალანსო ღირებულება განსაზღვრულია 1997 წლის 1 ივლისის შემდეგ, გრ.5-დან გრ.11-ის ჩათვლით არ ივსება.

დანართი №5

ჩამოსაწერი ძირითადი აქტივების (მანქანა-დანადგარებისა და სხვ.) ნარჩენი ღირებულების დადგენის აქტი

20 წლის ---------- მდგომარეობით

ორგანოს, დაწესებულების, სსიპ-ის, საბიუჯეტო ორგანიზაციის, წარმომადგენლობის/საკონსულოს დასახელება

№	ძირითადი საშუალების დასახელება	ექსპლუატაციაში შესვლის წელი	ექსპლუატაციაში ყოფნის ვადა	ღირებულება გადაფასებამდე (ლარი)	ბუღალტრული ცვეთა გადაფასებამდე		ფიზიკური ცვეთა გადაფასებამდე		ნარჩენი საბალანსო ღირებულება გადაფასებამდე (ლარი, გრ.5–გრ.9)	გადაფასების კოეფიციენტი საქართველოს პრეზიდენტის 09.06.1997 წ. N295 ბრძანებულების საფუძველზე	ღირებულება გადაფასების შემდეგ (ლარი)	ცვეთა გადაფასების შემდეგ (ლარი)	საამორტიზაციო ანარიცხის ნორმა ძირითადი ფონდის სრულ აღდგენაზე	ფაქტობრივი ცვეთა				ნარჩენი საბალანსო ღირებულება	
					%	ლარი	%	ლარი						ბუღალტრული ცვეთის წლიური ნორმა %	საბოლოო ფაქტობრივი მდგომარეობით %	საბოლოო ბუღალტრული მდგომარეობით %	ბუღალტრული მონაცემებით ლარი	ლარი	ქონების ადგილსამყოფელი ქვეყნის ვალუტის გათვალისწინებით
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20

კომისიის წევრები:

1. ----------

2. ----------

3. ----------

4. ----------

ვამტკიცებ:

კომისიის თავმჯდომარე

ბ.ა.

შენიშვნა: თუ ძირითადი აქტივი შეძენილია, ან ნარჩენი საბალანსო ღირებულება განსაზღვრულია 1997 წლის 1 ივლისის შემდეგ, გრ.5-დან გრ.11-ის ჩათვლით არ ივსება.

დანართი №6

ძირითადი აქტივის ლიკვიდაციის აქტი

წლის ----------

ორგანოს, დაწესებულების, სსიპ-ის, საბიუჯეტო ორგანიზაციის, წარმომადგენლობა/საკონსულოს დასახელება

№	ძირითადი აქტივის დასახელება	ექსპლუატაციაში შესვლის (გამოშვების) წელი	საწყისი საბალანსო ღირებულება გადაფასებამდე	ცვეთა გადაფასებამდე		გადაფასების კოეფიციენტი	საწყისი საბალანსო ღირებულება გადაფასების შემდეგ (ლარი)	ცვეთა გადაფასების შემდეგ (ლარი)	ნარჩენი საბალანსო ღირებულება (ლარი)	შენიშვნა
				%	ლარი					
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11

კომისიის შემადგენლობა: ----------

შექმნილი 20 წ ------- ---------- № ----------
ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის -------- საფუძველზე, რომელმაც დაათვალიერა

(ძირითადი საშუალების დასახელება)

და აღმოჩნდა, რომ ძირითადი საშუალება ლიკვიდირებულ უნდა იქნეს შემდეგის საფუძველზე:

1. ექსპლუატაციაში შესვლის (გამოშვების) წელი: ----------

2. საწყისი საბალანსო ღირებულება: ----------

3. ძირითადი აქტივის ტექნიკური მდგომარეობა და ლიკვიდაციის მიზეზი:

ა) ----------; ბ) ----------; გ) ----------

კომისიის დასკვნა: ----------

კომისიის წევრები:

1. ----------

2. ----------

3. ----------

4. ----------

ვამტკიცებ:

კომისიის თავმჯდომარე ----------

ბ.ა.

ძირითადი აქტივის ლიკვიდაციის შედეგების გამოთვლა

დანახარჯების ლიკვიდაცია			**ლიკვიდაციის შედეგად მიღებული**			
დოკუმენტაციის დასახელება	დანახარჯების ჩამონათვალი	თანხა (ლარი)	დოკუმენტაციის დასახელება	ფასეულობათა სახეები	რაოდენობა	თანხა (ლარი)
1	2	3	4	5	6	7

ლიკვიდაციის შედეგის საერთო თანხა: ---------- (----------) ლარი

ლიკვიდაციის შედეგი: ----------

მთავარი ბუღალტერი ---------- „ -----“ ---------- 20 წელი

კომისიის თავმჯდომარე ----------

ბ.ა.

დასკვნა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში (ბალნსზე რიცხული) არსებული ქონების განკარგვის, ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ბალანსიდან ჩამოწერისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალნსზე რიცხული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ან ლიკვიდაციის შედეგად მიღებული ან დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი ნაწილებისა და მასალების მუნიციპალიტეტის მიერ აღნიშნული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ან ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით გასხვისების ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვის წესების დამტკიცების შესახებ - დადგენილების შესახებ

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ა“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტთან, ,,საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ მე–4 მუხლთან, ,,ძირითადი საშუალებების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა, ფულადი საშუალებებისა და ანგარიშსწორებათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ - საქართველოს ფინანსთა მინისტრის 1995 წლის 1 აგვისტოს 12-03 ბრძანებით დამტკიცებული დებულებასა და ,,საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ – საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებასთან.

ადმინისტრაციული სამსახურის

იურიდიული განყოფილების სპეციალისტი: *ნინო ვაჩეიშვილი*